

• **მანდატური** - მანდატური გიწევთ მეგზურობას სასამართლოს შენობაში, ამოწმებს სასამართლო პროცესის დაწყებისათვის სასამართლო სხდომის დარბაზის მზადყოფნას. მოსამართლეების, სასამართლო პროცესის მონაწილეებისა და მოწმეების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მანდატური უფლებამოსილია, გამოავლინოს და აღკვეთოს სასამართლოს ტერიტორიაზე, მათ შორის სხდომის დარბაზში ჩადენილი სამართალდარღვევა.

• **მოსამართლე** - სასამართლო სისტემაში მოსამართლე უმაღლესი რანგის მოხელეა. მხოლოდ მოსამართლეა უფლებამოსილი, გადაწყვიტოს თქვენი დავა. მოსამართლე აფასებს ფაქტობრივ გარემოებებს და გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კანონის შესაბამისად და შინაგანი რწმენის საფუძველზე. არავის აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. მოსამართლესთან მხარეების კომუნიკაცია განსახილველ საქმესთან დაკავშირებით აკრძალულია და ისჯება კანონით.

თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი მტკიცების ტვირთი

მოსამართლე საქმეს განიხილავს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების საფუძველზე, რაც ნიშნავს, რომ ყველაფერი თქვენს მომზადებაზე, პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობაზე დამოკიდებულია. თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი მტკიცების ტვირთი.

სასამართლოს ეკრძალება მხარისთვის სასარგებლო მტკიცებულებების დამოუკიდებლად მოპოვება და თავისი ინიციატივით გამოკვლევა.



გახსოვდეთ!


საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია

თქვენი პოზიციის დასაბუთებულობაზე და მტკიცებულებებით დადასტურებაზე ანუ წარმატებას განაპირობებს მხოლოდ თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

სასამართლო უზრუნველყოფს კანონის წინაშე თქვენს თანასწორობას!



გაიგე უფრო მეტი შენი წარმატებისთვის!



*ვის მივძარტოვ
საქმისწარმოების
პროცესში?*

